# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმი N3

ქ. თბილისი 27 აგვისტო 2013 წ.

**შესყიდვის საგანი:** ქ. თბილისში დევნილთა განსახლების 16 ობიექტის სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის **(N897, 16.08.2013)** საშუალებით.

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:**
**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:**

| | |
|---|---|
| - გოგი ფაცაცია | მინისტრის პირველი მოადგილე<br>სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე |

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:**

| | |
|---|---|
| -მერაბ მენაბდე | მინისტრის მოადგილე |
| -კობა ხუბუნაია | საფინანსო დეპარტამენტის უფროსი |
| -ზაზა იმედაშვილი | მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი |
| - მურად აბლოთია | დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი |
| - კახაბერ პეტრიაშვილი | იურიდიული დეპარტამენტის უფროსი |

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:**

| | |
|---|---|
| - გიორგი კვანჭილაშვილი | სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი |
| - დავით ლოლაძე | სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე |
| - მაიკო მიქაია | სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი |

**დღის წესრიგი:**
1. ქ. თბილისში დევნილთა განსახლების 16 ობიექტის სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ელექტრონული „კონკურსის" **(N897, 16.08.2013)** შედეგების განხილვა.
2. კონკურსში **(N897, 16.08.2013)** მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:**
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად ელექტრონულ კონკურსში **(N897, 16.08.2013)** თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა 1 (ერთი) კონკურსანტი:
**1. შპს "ზ.დ ჯგუფი";**

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინდადება განსახილველად გადაეცა სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკონკურსო განცხადებაში გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად. **(ოქმი N2, 21.08.2013წ)**
კონკურსანტის მიერ წარმოდგენლი საკონკურსო წინადადებების ღირებულებება შეადგენს **17 200** (ჩვიდმეტი ათას ორასი ლარი) ლარს.

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:**
სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, შპს "ზ.დ ჯგუფი"-ს მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციაზე მოხსენება გააკეთა სამინისტოს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს წარმომადგენელმა ამირან გოგიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქ. თბილისში დევნილთა განსახლების 16 ობიექტის სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ განხილულ იქნა მხოლოდ შპს "ზ.დ ჯგუფ"-ის საკონკურსო წინადადება, რომელიც ძირითადში შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებმა განიხილეს შპს "ზ.დ ჯგუფ"-ის საკონკურსო წინადადება, შემოთავაზებული ფასისა და არქიტექტურული კონცეფციის გათვალისწინებით და ერთხმად მოიწონეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. შპს "ზ.დ ჯგუფი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში **(N897, 16.08.2013)** გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "ზ.დ ჯგუფი"-ს საკონკურსო წინადადება.

2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა:

2.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.

2.2. შპს "ზ.დ ჯგუფ"-თან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

კობა ხუბუნაია

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

კახაბერ პეტრიაშვილი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

გიორგი კვანჭილაშვილი

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია